

ლობის დავთრის“ (1621 წ.) მიხედვით, ოდიშის სოფლებში (ნაგვაზავო, საჭურჭლორიო, ხიბულა, ნაუანუელი, ხოირი, თილითი, ხაუჟელი, ტუვარუ, ჭალა) (იქვე, III, გვ. 412-435) დასახლებულია 300-მდე საეკლესიო გლეხი (უმეტესობა სახელითა და გვარით, მცირე ნაწილი კი – ან ოდენ გვარით, ან – ოდენ სახელით), რომელთა დიდზე დიდ უმეტესობას ჰქვია კოლხური სახელი ან მეტსახელი (მახარებელი, ბუხუტია, ოფიშხუა, სტუმარია, გვიგვა, უჩაკოჩი, გამიგონა, მახიოლა, მახუტოლია, სომიხერდა, უღვინობა, უჩაია, ობიშხა, თოლიშია, კოჩია, თოლიორჭო, თოსკუამია, მირჩილია, სოხერდია, კოჩივარა, მიძირუდა...), ხოლო საეკლესიო (კალენდარული) სახელი მხოლოდ რამდენიმეა: ივანე (3), გიორგი (3), იოვანე (2), გრიგოლია. მაშასადამე, ამ ერთი დავთრის მიხედვით, კანონიკურ პირის სახელთა ხვედრითი წონა ოდიშში მხოლოდ და მხოლოდ 0,3%-ია. დაახლოებით ასეთივე პროპორციაა დაცული აკ. ჭანტურიას მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში შეკრებილ მეგრულ სახელებშიც.

დასკვნა: მართალია, როგორც არიანე ჭანტურია (აკ. ჭანტურიას ვაჟი) აღნიშნავს, „სამწუხაროდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელები-სა და გვარების ახსნა-განმარტება (წარმოშობა, სქესობრივი მიკუთვნება) ავტორს შეუსრულებელი დარჩა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკ. ჭანტურიას „მეგრული სახელები და გვარები“ მრავალმხრივ საინტერესო წყაროა ქართველური, კერძოდ კი კოლხური, გვარ-სახელების კვლევისათვის.

პაატა ცხადაია

Tavsili - The Traditional Oral Translation of the Bible in Judeo-Georgian. A Critical Edition of Genesis, Part I. The Text, By Reuven Enoch, Publication of the Hebrew University, Jewish Oral Tradition Research Center XXVIII, Edited by Aharon Maman. Jerusalem, 2008, 265 p.

[თავსილი – ბიბლიის ტრადიციული ზეპირი იუდეურ-ქართული თარგმანი. დაბადების კრიტიკული გამოცემა, ნაწ. I, ტექსტი, რეუვენ ენოხის მიერ. ებრაული უნივერსიტეტის პუბლიკაცია, ებრაული ზეპირი ტრადიციის შემსწავლელი ცენტრი XXVIII, აჰარონ მამანის რედაქციით, იერუსალიმი, 2008, 265 გვ.]

რეუვენ ენოხის (რუბენ ენუქაშვილის) ეს პუბლიკაცია ნამდვილად მნიშვნელოვანი შენაძენია, კერძოდ, ქართველოლოგიაში, რამდენადაც იგი ქართული ენის დღემდე უცნობ პლასტს შეიცავს, და, ბუნებრივია და ალბათ, პირველ რიგში, ებრაისტიკისთვის, რამდენადაც იგი ახალ ფურცელს შლის ბიბლიის თარგმანების (თარგუმების) ისტორიაში. თავსილის სახით ჩვენს წინაშეა დაბადების წიგნის ზეპირად შესრულებული ტექსტები, რომ-

ლებიც გამომცემელმა ჩაიწერა ქართველი ებრაელი რაბების – აბრამ გაგულაშვილის, სიმონ ელიშაყაშვილის და შალომ ხენის პირიდან (ესენი არიან ზეპირი ტრადიციის მახსოვართა უკანასკნელი თაობა). ტექსტი იმსახურებს, რომ მას ეწოდოს *თარგუმი* ამ სიტყვა-ცნების თავდაპირველი მნიშვნელობით, როგორც ის გააჩინა აუცილებლობამ ებრაულ თემებში, სადაც მლოცველს, ბაბილონის ტყვეობიდან მოყოლებული, ბიბლიის ენა აღარ ესმოდა. ამ მთარგმნელობით პროდუქტს ქართველ ებრაელთა წრეში არაბული სახელი *თავსილ* (უფრო ზუსტად *tafsir*) დაერქვა, რაც არაბულად იმასვე ნიშნავს, რასაც თარგუმი (ასე ეწოდებოდა ყურანის განმარტებას, ანუ თარგმანებას და ხუთწიგნეულის არაბულ თარგმანს და თარგმანებას, რომელიც ეგვიპტეში შეიქმნა). რაც შეეხება *თარგუმს*, როგორც ტერმინს, იგი სახელწოდებად *თანახის* (ძველი აღთქმის) არამეული თარგმანის წერილობით ტექსტებს შერჩა. ვითარება, როცა *თარგუმი* ზეპირად იქმნებოდა და ზეპირადვე გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ვიდრე დამწერლობით აღიბეჭდებოდა, შორეულ წარსულში დარჩა. დღეისათვის ცნობილ ხუთწიგნეულის *თარგუმს*, რომელიც *ონკელოსის თარგუმის* სახელწოდებით არის ცნობილი, ნაკლები საერთო აქვთ წმიდა წერილის იმ ზეპირ არამეულ პარაფრასტულ თარგმანებთან, რომლებიც იქმნებოდა ბიბლიის ენის არმცოდნე მრევლისთვის წაკითხული ტექსტის სინქრონულად ღვთისმსახურების დროს. არამეულ ლიტერატურულ თარგუმებში ისევე ძნელია ზეპირი კვალის აღმოჩენა, როგორც *სეპტუაგინტაში*, რომელიც თავდაპირველად სხვა არაფერი უნდა ყოფილიყო, თუ არა ბერძნული „თარგუმი“, რომელიც წაკითხული ებრაული ტექსტის სინქრონულად უნდა მოესმინა ბერძნულენოვან ებრაულ თემს ალექსანდრიაში. ლოგიკურად ვვარაუდობთ, რომ საქართველოს ებრაელთა ისტორიის იმ პერიოდში, როცა ისინი ჯერ კიდევ ქართველ ებრაელებად („ჭურიანი ქართველნი“) არ იხსენიებოდნენ, თარგუმები ებრაელთა სამეტყველო ენის კვალობაზე, ანუ არამეულად უნდა შექმნილიყო, თუკი ისინი უშუალოდ პალესტინიდან იყვნენ დევნილნი და არა ბაბილონში გადასახლებაზე (როგორც ვიცით, არამეული ებრაელებმა ბაბილონში ტყვეობის დროს შეითვისეს). არამეულის დავიწყებას და ქართულად მეტყველებაზე გადასვლას ქართველ ებრაელთა თემში ბუნებრივად უნდა გამოეწვია ქართულ „თარგუმთა“ მოთხოვნილება. სამწუხაროდ, მათი კვალი არ ჩანს, თუმცა ეს მათი არსებობის ვარაუდს ვერ გააქარწყლებს. რაც შეეხება *თავსილს*, იგი საერთო ენობრივი ნიშნის მიხედვით მოგვიანო პერიოდის შემოქმედებაა, თუმცა მისი რაობის დადგენა საგანგებო კვლევის საგანი უნდა იყოს, რასაც, იმედია, პუბლიკაციის მეორე ნაწილში ვიხილავთ.

ცნობილია, რომ ბიბლიის თარგმანი, გარკვეულწილად, მისი ინტერპრეტაციაც არის (ეს ორი მომენტი ასახულია ქართულ სიტყვა-ცნებებში: *თარგმანი* და *თარგმანება*), მაგრამ *თარგუმები* (მხედველობაშია თავდაპირველი ზეპირი ტექსტები) იმით განსხვავდება ჩვეულებრივი თარგმანებისგან, რომ იქ ინტერპრეტაცია პოლიტიკაა და ის სცილდება თარგმანისა და, თუნდაც,

პერიფრაზის საზღვრებს. თარგუმების თავისებურება ისიც იყო, რომ ზოგიერთი უხერხული ადგილი არ ითარგმნებოდა (დაბ. 35:22, რეუბენის ეპიზოდი, 2მეფ. 11-12, დავითისა და ურია ხეთელის ეპიზოდი). რა მდგომარეობაა ამ მხრივ, თავსილში? ქართული „თარგუმი“ არ მისდევს ამ მეთოდს, მისთვის არ არსებობს უხერხული ადგილები, არც ანთროპომორფიზმების შემსუბუქების და გარეშემოვლის მცდელობებს ვადასტურებთ.

თვალის ერთი გადავლებითაც ცხადია, რომ დაბადების წიგნის (ებრ. ბერეშითის, როგორც პუბლიკაციაშია) თავსილი არათუ ლიტერატურულ ღირებულებას არის მოკლებული, არამედ ქართული ენის ელემენტარულ ნორმებსაც არ იცავს. ეს ბუნებრივიც არის, რამდენადაც წაკითხულის სინქრონული თარგმანი მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შეიძლება ყოფილიყო, მით უმეტეს, თუ მეთურგები დედნის ზედმიწევნითი სიზუსტის დაცვას ცდილობს. ბიბლიის თარგმნის ისტორიას ახსოვს ანალოგიური შემთხვევები, როცა ორიგინალისადმი ზედმეტი ერთგულება თარგმანის ენის დალატისკენ უბიძგებს მთარგმნელს. ასეთი იყო ცნობილი აკვილას თარგმანი, რომელიც ორიგენმა თავის განთქმულ ჰექსაპლაში (ექვსედი) ერთ-ერთ სვეტად წარმოადგინა ებრაულ დედანთან, მის ტრანსკრიფციასთან (ბერძნული ასოებით), სიმმაქოსისა და თეოდოტიონის ვერსიებთან და სექტუაგინტასთან ერთად. ტიპოლოგიურად თავსილის ქართული ტექსტი აკვილას ბერძნულ ტექსტთან იჩენს გასაოცარ ტიპოლოგიურ მსგავსებას. იგივე მცდელობა, რაც აკვილასთან პრინციპად არის გამხდარი, კერძოდ, ებრაული დედნის სინტაქსურ და მორფოლოგიურ თავისებურებათა ასახვისა, უცნაურ იერს ანიჭებს ქართულ ტექსტს. თავსილი ცდილობს, უყურადღებოდ არ დატოვოს არც ერთი ებრაული მორფოლოგიური ნიუანსი, მაგალითად, იგი ყოველთვის, როგორც წესი, უძებნის „შესატყვისს“ ებრაულ პრეპოზიციულ ნაწილაკებს *ו* და არტიკლს *ה*. „დაინახა იოსებმა იგი ბენიამინი“ (ბერეშით, 43:16), „იმათ იოსებსა“ (ბერეშით, 45:17), „და უბრძანა იმათ (ლ) აბრამსა“ (ბერეშით, 12:1), სადაც იგი და იმათ „შესატყვისია“ ზმნის პირდაპირი ობიექტის ნიშნებისა *ו*, *ל*, რასაც ქართულში, ბრუნვის ნიშნის გარდა, სხვა გამოხატულება არა აქვს. ქართულ ფრაზაში ფსევდოარტიკლების უხვად გამოყენების ნიმუშია: „წადი შენთვის იმის ქვეყნის შენისაგან, იმის სამშობლოს შენისაგან, იმის სახლისა მამიშენისაგან იმათ ქვეყანასა, რომ გაჩვენებ შენ“ (ბერეშით, 12:1). დედნისადმი ერთგულების მცდელობაში ენაზე ძალადობის ხარჯზე თავსილი ნამდვილად ხელს უწყვედს აკვილას.

ლექსიკურად თავსილი ძალზე საინტერესოა. მასში აღმოვაჩინეთ არამცირედ რაოდენობას ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც არც სალიტერატურო ქართულში და, რამდენადაც ვიცი, არც რომელიმე დიალექტშია დადასტურებული. მაგალითად, სვიბითი/შვიბითი „ღრმა ძილის“ (ებრ. თარ-დუმაჰ) მნიშვნელობით (ბერეშით, 2:21; 15:12), სიფრენე – სიბერე (ბერეშით, 15:15), ჭამტვრები/ჭამპრები, – ფარები, ჯოგები (ბერეშით, 29:2; 30:40), მარტივი – ერთადერთი, ებრ. *אחד* და: „აიყვანე აწ იგი შვილი შენი, იგი

მარტივი შენი...“ (ბერეშით, 22:2), დამუშვენს – დააბალხამეს (ბერეშით, 50:2; 50:26), მეტოლე – ცოლი (ბერეშით, 20:12). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზმნა დაახასა „წმიდაყოფის“ (ებრ. *კიდდეშ*) მნიშვნელობით: „და აკურთხა ღმერთმან იგი დღე მეშვიდე და დაახასა ის“ (ბერეშით, 2:3). არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ რამდენად უკავშირდება იგი სიტყვას „ხასი“, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება *ნამდვილის* (ა. შანიძე) ან *განსაკუთრებულის* მნიშვნელობით: „იაგუნდისა მრთელისა, უვითლისა, მეტად ხასისა“ (1438,3). ასევე მივაქცევდით ყურადღებას ბიბლიურ ცნებათა არცთუ ადვილად სათარგმნელი ლექსიკის თავისებურ შესატყვისებს. მაგ., სტერეოტიპულ იდიომაში: „ჰპოვა მადლი ვისმე თვალში“ თავსილი მრავალნიუანსიან სიტყვა-ცნებას *ხენ* (ן) თარგმნის როგორც *ხუნჭულობა*: „და ნოახმა იპოვნა ხუნჭულობა (ვარ. სიყვარულობა) შინა თვალსა უფლისასა“ (ბერეშით, 6:8).

თავსილი რატომღაც გაურბის ბიბლიის კარდინალური საკვანძო ბერით სიტყვა-ცნების გადმოსაცემად „აღთქმას“ და იყენებს სიტყვას „პაემანი“, რომელსაც სალიტერატურო ქართულში „დროის პირობის“ მნიშვნელობა აქვს (იხ. საბა), თუმცა „ვისრამიანში“ *აღთქმის* მნიშვნელობითაც გვხვდება: „საფიცი წიგნი დაწერეს და პაემანი შეუქმნეს ერთმანერთსა“ (თავი: ამბავი ვისის შობისა...). აქ თავსილის კოლექტიური ავტორი ნამდვილად ქართული ლექსიკის სიღრმისეულ ცოდნას ავლენს. გარკვეული მიზეზი უნდა ჰქონდეს იმას, რომ ტეტრაგრამას თავსილი, როგორც წესი, აშკარად ძველი ქართული ტექსტის გავლენით, უნაცვლებს უფალს და არა ტრადიციულ *ადონის*, რომლის ხმოვნებით არის გახმოვანებული ტეტრაგრამა. რუსიციზმების (ატაჟა, შურნოკი, მეშოკი, პარახოთი...) არსებობა, რაც დამახასიათებელი ზოგიერთი ქართული დიალექტისთვის და მეცხრამეტე საუკუნის წიგნური ენისთვისაც, არ უნდა იყოს მოულოდნელი, ისევე როგორც არამეზმები იქაც კი, სადაც ზუსტი ებრაულის ქართული შესატყვისები არსებობს, რამდენადაც არამეული ენა თავსილის ავტორების განსწავლულობის ძირითადი ელემენტია. აშკარად არამეული თარგუმის, კერძოდ, ონკელოსის თარგუმის გავლენით მოხვდა თავსილის ტექსტში *ისუნტლოს* (ბერეშით, 1:26), *ისუნტლეთ* (1:28), *სუნტლობს* (ბერეშით, 45:26), *მოსუნტლეთ* (ბერეშით, 45:8), რომელთა სწორი ფორმები იქნებოდა *ისულტნოს*, *ისულტნეთ*, *სულტნობს*, *მოსულტნედ* არამ. ძირიდან *შლტ* ბატონობა, უფროსობა და სხვა (აქედან *სულთან*). ონკელოსისავე თარგუმს უნდა მისდევდეს „შინა სეკრეტსა მათსა არ მივიდეს სული ჩემი“ (ბერეშით, 49:6), ნაცვლად საყოველთაოდ მიღებული უფრო მართებული თარგმანისა „მათ თათბირზე ნუ მივა ჩემი სული“ (ასეა რუსულენოვან ებრაულ გამოცემებშიც). რუსული *სეკრეტი* უცხო არ არის ებრაელთა დიალექტისთვის: „უფლის სეკრეტებ შენ გაიგეებ?“ – გამიგონია ონის ებრაელთაგან.

ონკელოსის თარგუმის გავლენა უფრო მნიშვნელოვან ეპიზოდშიც ჩანს, რომლის დედნისეული ბუნდოვანება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ბადებს.

და თუ სადმე თარგმანი თარგმანებაში გადადის, აქ სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ბერეზით, 49:10 შეფარულად მესიანისტურია, მაგრამ თავსილს ონკელოსის თარგუმის კვალზე ექსპლიციტურად გამოაქვს მესიანისტური აზრი: „ვიდრემდე რომ მოვიდოდეს მაშიახი“, თუმცა რაბი აბრამ ელიგულაშვილი თითქოს დარწმუნებული არ არის ასეთი თარგმანის აბსოლუტურ სისწორეში, რადგან, როგორც რეუვენ ენოხი სქოლიოში შენიშნავს, რაბის ჯერ შილო (როგორც დედანშია) უთქვამს, მერე მაშიახად გაუსწორებია (გვ. 234). ეს კი მეტისმეტი ანაქრონიზმია, რადგან პატრიარქების ეპოქაში არც იდეა და არც ტერმინი მესიანიზმისა არ არსებობდა.

ასეთია ჩვენი შენიშვნები, რომლებიც გაგვიჩნდა თავსილის ზედაპირული კითხვისას. მხოლოდ აღვნიშნეთ ისინი, არ გვიცდია დასკვნების გამოტანა. ამ პუბლიკაციის პირველი ნაწილის (ტექსტის) შემდეგ ამავე სერიის XXIX ტომში (2009) რეუვენ ენოხმა ებრაულ ენაზე გამოსცა მისი მეორე ნაწილი – ტექსტის ანალიზი („თავსილის კვლევა დაბადების წიგნის მიხედვით“). გამოკვლევაში პასუხი აქვს გაცემული ბევრ კითხვას, რომელსაც თავსილი – ეს უცნაური ქართული ტექსტი ბადებს. ამავე დროს იგი, როგორც ქართველ ებრაელთა დიალექტის ნიმუში, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართული ენის ებრაული დიალექტი, ნაყოფიერი ასპარეზია მრავალმხრივი ლინგვისტური (მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური) კვლევისთვის, რასაც რუბენ ენუქაშვილი, როგორც ქართული ენის ყველა პლასტის შესანიშნავი მცოდნე, წარმატებით ასრულებს.

იმედია, იგი ქართულადაც გამოაქვეყნებს თავისი კვლევის შედეგებს, რასაც ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება დიდი ინტერესით მოელის.

გამოცემაში პარალელურად დაბეჭდილია ქართული ტექსტის ტრანსლიტერაცია ვარიანტებითურთ. წიგნს ერთვის სერიის რედაქტორის აჰარონ მამანის წინასიტყვა და ტექსტის გამომცემლის რეუვენ ენოხის შესავალი (ებრაულ ენაზე) და მისივე ინგლისური აბსტრაქტი.

ზურაბ კიკნაძე

ჯემალ შარაშენიძე. შუმერული ენის გრამატიკა, თსუ გამ-ბა, თბ., 2005, 92 გვ.;
ჯემალ შარაშენიძე. შუმერული ქრესტომათია, თსუ გამ-ბა, თბ., 2005, 499 გვ.;
ჯემალ შარაშენიძე. შუმერული სილაბარიუმი. Jemal Sharashenidze. Sumerian syllabary. Studies of Society of Assyriologists, Bibliologists and Caucasologists 4 [Tbilisi, Georgia, 2008], SABC, 215 გვ.

პროფესორ ჯემალ შარაშენიძეს, ისტორიკოს-შუმეროლოგს, წილად ხვდა, პირველად ქართულ ენაზე დაეწერა შუმერული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო ქრესტომათიასთან და სილაბარიუმთან ერთად, განკუთვნილი თსუ ასირიოლოგიის კათედრის სტუდენტთათვის. როცა იგი იწერებოდა, ჯერ